თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3286404

ნომერი: AR1504844

თარიღი : 18.05.2017

გაცემის თარიღი : 02.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , შესახვევი I , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კენჭიაშვილი პ/ნ 01024009653
- თბილისი ვაშლიჯვარი ვ.გოძიაშვილის I შეს. N 2/4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1504844 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა, შესახვევი I, #6-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემას. პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 29 მაისის #3284606 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ქუჩა გოძიაშვლი, შესახვევი I, #6, შპს ქეი ქეი ინვესტმენტი საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #

01.10.10.022.028), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 29 მაისიდან 2019 წლის 29 მაისის ჩათვლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2017 წლის 2 ივნისს #AR1510516 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ანა კაჭკაჭიშვილმა და მოითხოვა ქ.თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა, შესახვევი I, #6-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (B ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #3284606 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge